გაცნობითი საინფორმაციო შეხვედრა
ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის კონცეფციაზე მომუშავე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
23/12/2019

შეხვედრის ოქმი

ძირითადი გადაწყვეტილებები/საჭირო მოქმედებები

#	**გადაწყვეტილება / მოქმედება**	**პასუხისმგებელი მხარე**	**შესრულების თარიღი**
1	ცენტრის კონცეფციის მომზადება	სამუშაო ჯგუფი	არაუგვიანეს 2020 წლის 1 მაისისა
2	მონიტორინგის შედეგების/პილოტირების შედეგების წარდგენა	სამუშაო ჯგუფი	არაუგვიანეს 2021 წლის 31 დეკემბერი

დისკუსია (ძირითადი საკითხები)

1. **რას ნიშნავს „ბარნაჰუსის“ მოდელი -- ცენტრის კონცეფციის გაცნობა;**
   „ბარნაჰუსის“ მოდელის კონცეფცია სხდომის მონაწილეებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორმა, მერი მაღლაფერიძემ გააცნო. მერი მაღლაფერიძის თქმით, ცენტრები შეიქმნება ტრეფიკინგის ცენტრის ბაზაზე და მისი ძირითადი მიზანი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების მომსახურება იქნება. ცენტრში არა მხოლოდ ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარების მიღება იქნება შესაძლებელი, არამედ მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილების მიზნით, ეფექტური საგამოძიებო პროცესიც წარიმართება. შეიქმნება მულტისექტორული და მულტიდისციპლინარული მიდგომა. მიზნის მისაღწევად ამ ეტაპზე მთავრი ამოცანებია: კოორდინირებული თანამშრომლობა უწყებებს შორის, ბავშვების კონფიდენციალურობის დაცვა და ცენტრის სამუშაო პროცესში სპეციალურად გადამზადებული სპეციალისტების ჩართულობა.

2. **რა დაევალა საქართველოს მთავრობისგან სხვადასხვა უწყებებს და რა ვადებში უნდა შესრულდეს მთავრობის განკარგულებები; სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და საქმიანობა:**
   პრემიერ მინისტრის აპარატის უფროსის მოადგილემ, ანა ბუჩუკურმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნო საქართველოს მთავრობის განკარგულება „ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის კონცეფციაზე მომუშავე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა. მისი თქმით, სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს ცენტრის კონცეფციას, იმუშავებს მასზე პილოტირების რეჟიმის დროს და განახორციელებს მონიტორინგს. ჯგუფმა ზუსტად უნდა განსაზღვროს ბენეფიციარები, ასაკობრივი ჯგუფები, საქმეების კატეგორიები და ფუნქციონირებისთვის საჭირო სტანდარტები და პროცედურები.

3. არასამთავრობო ორგანიზაციებს კითხვები გაუჩნდათ ცენტრის ბენეფიციარებთან დაკავშირებით. PHR-ის წარმომადგენლის ანა აბაშიძის თქმით, საჭიროა განისაზღვროს ვის მოემსახურება ცენტრი, მხოლოდ ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს, რომლებსაც სურთ გამოძიებასთან თანამშრომლობა თუ მათაც, ვისაც არ სურთ პროცესში ჩართვა. გამოიყო მშობლების დახმარების და ცენტრში მომუშავე პროფესიონალების სრული დამოუკიდებლობის საკითხიც. ანა აბაშიძის თქმით, იდეალური იქნებოდა თუკი ცენტრი დაარსდებოდა არა სახელმწიფო, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციების რესურსებზე.

კითხვები დაისვა ბიუჯეტის, ცენტრის სტანდარტებისა, ინტერვიუერების რეკრუტირებასა და ცენტრში მომუშავე სპეციალისტების სპეციალიზებასთან დაკავშირებითაც.

ევროსაბჭოს ექსპერტმა ნანა ჩაფიძემ ისლანდიის ბარნაჰუსის მოდელზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ევროკავშირმა შეიმუშავა ბარნაჰუსის სტანდარტები, რომლის მთავარი რეკომენდაციაა, რომ ცენტრი იყოს სახელმწიფოს დაფინანსებით, თუმცა ჰქონდეს მაღალი დამოუკიდებლობა. მისივე თქმით, ევროსაბჭო მოუწოდებს ქვეყნებს, რომ მოდელი მოარგოს ქვეყნის შიგნით არსებულ კონტექსტს.

შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ უმჯობესი იქნება არსებულ კითხვებზე პასუხები დეტალურად სამუშაო ჯგუფის ფორმატში იქნას განხილული.

ოქმი მომზადებულია: მერი ქაჯარა

_____ ხელმოწერა

ოქმი დამტკიცებულია: ლელა აქიაშვილი, მოდერატორი

_____ ხელმოწერა

დანართი #1: მონაწილეთა სია

1. ლელა აქიაშვილი, პრემიერ მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებებისს და გენდერული თანასწორობის საკითხებში
2. ანა ბუჩუკური, პრემიერ მინისტრის აპარატის უფროსის მოადგილე
3. თამარ რობაქიძე, ადამიანის უფლებათა სამდივნო
4. მერი ქაჯაია, ადამიანის უფლებათა სამდივნო
5. ანუკი ბურდული, ადამიანის უფლებათა სამდივნო
6. გულიკო მაჭარაშვილი, ადამიანის უფლებათა სამდივნო
7. გელა გელაძე, მანდატურის სამსახური
8. მარიკა მხეიძე, Save the Children
9. თამარ მჭედლიშვილი, SOS ბავშვთა სოფელი
10. ნინო კიკაბიძე, სამხარაულის ბიურო
11. ნანა გოჩიაშვილი, PHR
12. მაია ცირამუა, GCRT
13. ანა აბაშიძე, PHR
14. ეკატერინე (ქეთი) თავართქილაძე, ARC
15. ია ჩხეიძე, გენერალური პროკურატურა
16. ნინო ნუცუბიძე, SOS ბავშვთა სოფელი
17. ნანა ჩაფიძე, ადამიანის უფლებათა სპეციალისტი (CoE)
18. ნოდარ რაზმაძე, განათლების სამინისტრო
19. მერი მაღლაფერიძე, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი
20. ანა თავხელიძე, PHR
21. მარიამ ბოჭორიშვილი, სახალხო დამცველის აპარატი
22. მაია გედევანიშვილი, სახალხო დამცველის აპარატი
23. მაკა გაგიევი, გენერალური პროკურატურა
24. ლია სარალიძე, PHF
25. თამუნა ზაალიშვილი, პირველი ნაბიჯი საქართველო
26. ანა ივანიშვილი, იუსტიციის სამინისტრო
27. ნინო დანელია, World Vision Georgia
28. მაკა ფერაძე, შინაგან საქმეთა სამინისტრო
29. ნინო ცაციაშვილი, შინაგან საქმეთა სამინისტრო
30. ირმა გაბრიაძე, UNICEF
31. მორის ბარამია, დანაშაულის პრევენციის ცენტრი

საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№2633 2019 წლის 18 დეკემბერი ქ. თბილისი

ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის კონცეფციაზე მომუშავე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის კონცეფციაზე მომუშავე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი (შემდგომში – სამუშაო ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

ა) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს (სამსახური) უფროსი – სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;

ბ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე – სამუშაო ჯგუფის წევრი;

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე – სამუშაო ჯგუფის წევრი;

დ) საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე – სამუშაო ჯგუფის წევრი;

ე) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე – სამუშაო ჯგუფის წევრი;

ვ) სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორი/დირექტორის მოადგილე – სამუშაო ჯგუფის წევრი;

ზ) სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორი/ დირექტორის მოადგილე – სამუშაო ჯგუფის წევრი;

თ) სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსი/უფროსის მოადგილე – სამუშაო ჯგუფის წევრი.

2. სამუშაო ჯგუფის მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობის მიღება ეთხოვოთ:

ა) საქართველოს გენერალურ პროკურატურას;

ბ) საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს;

გ) სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახურს;

დ) საქართველოს სახალხო დამცველს (სახალხო დამცველის აპარატს);

ე) საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობას;

ვ) ევროპის საბჭოს ოფისს საქართველოში.

3. განკარგულების პირველ და მე-2 პუნქტებში მითითებულ უწყებებს/ორგანიზაციებს ეთხოვოთ, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეს 10 დღის ვადაში წარუდგინონ სამუშაო ჯგუფის წევრის კონკრეტული კანდიდატურები.

4. დამტკიცდეს სამუშაო ჯგუფის თანდართული დებულება.

№1

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2019 წლის 18 დეკემბრის
№2633 განკარგულებით

ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის კონცეფციაზე მომუშავე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის კონცეფციაზე მომუშავე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის (შემდგომში – სამუშაო ჯგუფი) მიზნებს, ამოცანებს, უფლებამოსილებასა და საქმიანობის წესს.

2. სამუშაო ჯგუფი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით.

3. სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილება ამოიწურება ცენტრის საპილოტე პროექტის დანერგვისა და მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგის შედეგების გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებისა და ბავშვთა უფლებების საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიისთვის წარდგენიდან 2 თვეში.

მუხლი 2. სამუშაო ჯგუფის მიზნები და ამოცანები

1. სამუშაო ჯგუფის მიზანია ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის

(შემდგომში – ცენტრი) კონცეფციის შემუშავება და ცენტრის საპილოტე პროექტის დანერგვისა და მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგი.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული მიზნის მისაღწევად, სამუშაო ჯგუფის ამოცანაა, განსაზღვროს:

ა) ცენტრის ბენეფიციართა დეფინიცია;

ბ) ცენტრის ბენეფიციართა ასაკობრივი სამიზნე ჯგუფები;

გ) ცენტრის მომსახურებას დაქვემდებარებული კონკრეტული საქმეების კატეგორიები;

დ) ცენტრის წარმატებული ფუნქციონირებისათვის საჭირო სტანდარტები და პროცედურები.

3. სამუშაო ჯგუფი ცენტრის კონცეფციას არა უგვიანეს 2020 წლის 1 მაისისა წარუდგენს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებისა და ბავშვთა უფლებების საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიას, შემდგომი რეაგირების მიზნით.

4. სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს ცენტრის საპილოტე პროექტის დანერგვისა და მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგს და მონიტორინგის შედეგებს წარუდგენს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებისა და ბავშვთა უფლებების საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიას, არა უგვიანეს 2021 წლის 31 დეკემბრისა.

მუხლი 3. სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილება

დასახული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია:

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და დაწესებულებებიდან გამოითხოვოს თავისი საქმიანობისათვის საჭირო ინფორმაცია;

ბ) მოიწვიოს დამოუკიდებელი ექსპერტები თავის კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესწავლისა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებისა და ანგარიშების მომზადების მიზნით;

გ) განახორციელოს სხვა საქმიანობა, რომელიც ამ დებულებაში პირდაპირ არ არის მითითებული, მაგრამ აუცილებელია სამუშაო ჯგუფის ამოცანების შესასრულებლად.

მუხლი 4. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის წესი

1. სამუშაო ჯგუფის საქმიანობას ხელმძღვანელობს და მის სხდომებს წარმართავს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.

2. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე უფლებამოსილია, დანიშნოს სამუშაო ჯგუფის მდივანი.

3. სამუშაო ჯგუფის სხდომები თავმჯდომარის მოწვევით ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ კვარტალში ერთხელ.

4. სამუშაო ჯგუფის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სამუშაო ჯგუფის წევრთა ნახევარზე მეტი.

5. სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის ხმა.

6. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოწვევით, სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში, სათათბირო ხმის უფლებით, შეიძლება, მონაწილეობდნენ არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

7. სამუშაო ჯგუფის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე და მდივანი.

8. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ადმინისტრირებას, ორგანიზაციულ და ანალიტიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო (სამსახური).